Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 2, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.02.03

მოლების არქიტექტურულ-მხატვრული და ურბანული როლი ქ. თბილისის განვითარებაში

თინათინ ჩიგოგიძე[1]; ნათია ქოიავა[2]

[1]არქიტექტურის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 595 375 573, t.chigogidze@gtu.ge; [2]დოქტორანტი, *არქიტექტურის ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,* სამუშაო ადგილი:თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია: 591 136 119, nat.koiava@yahoo.com

ანოტაცია

სტატიაში განხილულია მრავალფუნქციური ცენტრები, როგორც ახალი ტიპის ჰიბრიდული არქიტექტურული ფორმები, რომლებიც წარმოქმნიან ერთგვარ მიზიდულობის კერებს და გავლენას ახდენენ ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. აღწერილი და ერთმანეთზეა შედარებული ქ. თბილისის მსხვილი სავაჭრო ცენტრების („თბილისი მოლი“, „გალერია თბილისი“ და „ისთ ფოინთი“) არქიტექტურული და მხატვრული თავისებურებები, ასევე მათი ურბანული როლი ქალაქის განვითარებაში. გამოკვეთილია არსებული პრობლემები, მათ შორის ლოკალური არქიტექტურული იდენტობის ნაკლებობა, რაც გლობალიზაციასა და სტანდარტიზაციას უკავშირდება.

საკვანძო სიტყვები: ლოკალური არქიტექტურული იდენტობა; მოლი; მრავალფუნქციური ცენტრი; ურბანული ინტეგრაცია

შესავალი

მოლები - მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრები დღეს ერთ-ერთი აქტუალური თემაა არქიტექტურაში. გლობალიზაციის პროცესებმა, ურბანიზაციამ და მომხმარებლის საზოგადოების კულტურის ამაღლებამ ხელი შეუწყო ისეთი არქიტექტურული ობიექტების განვითარებას, რომლებიც თავის თავში რამდენიმე ფუნქციას აერთიანებენ. დღეს მოლები არა მხოლოდ ვაჭრობისთვის განკუთვნილი ტერიტორია, არამედ ინფრასტრუქტურული კომპლექსებია, რომელებიც ვიზიტორთა მაქსიმალურ კომფორტსა და დროის სასიამოვნოდ გატარებაზეა ორიენტირებული. ისინი

გარდაიქმნენ ქალაქის შიდა კვანძებად, სადაც ერთდროულად მიმდინარეობს ყოველდღიური ცხოვრება, დასაქმება, კულტურული ღონისძიებები და სოციალური ურთიერთობები.

2025 წლის მონაცემებით თბილისში 30 - მდე სავაჭრო ცენტრი ფუნქციონირებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქების სივრცის სტრუქტურაზე, დინამიკასა და იერსახეზე.

ძირითადი ნაწილი

XX საუკუნეში გაჩენილი, დიდი მასშტაბის სავაჭრო ცენტრები, რომლებიც იერსახისა და ფუნქციის მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიდნენ, საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ახალი ტიპის ჰიბრიდულ არქიტექტურულ ფორმად, რომელიც აერთიანებს სავაჭრო, გასართობ, კულტურულ და საზოგადოებრივ ფუნქციებს. მოლები თანამედროვე ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ელემენტებად, ერთგვარ ახალი ტიპის შემკვრელ ბირთვებად იქცნენ. მათი გაჩენა ქალაქში ან მიმდებარე ტერიტორიაზე, ნიშნავს ურბანული მოდელის (ქალაქის ტრადიციული, მონოცენტრული მოდელიდან პოლიცენტრულზე გადასვლას) და ზოგადად ქალაქის ცხოვრების წესის ცვლას (სურ. 1, 2). ამ მოვლენას პოზიტიურთან ერთად, ნეგატიური გავლენის საშიშროებაც ახლავს. მაგალითად: არასწორი ურბანული დაგეგმარების შემთხვევაში მოლი შესაძლოა ვერ ჩაეწეროს ქალაქის ქსელში, შეიქმნას გადაადგილებასა და პარკირების პრობლემები, მოლში ზედმეტად კონცენტრირებულმა ფუნქციებმა შესაძლოა გამოიწვიოს ქალაქის ნაწილების არათანაბარი განვითარება და ა.შ.



სურ. 1 მონოცენტრული ქალაქის ურბანული მოდელი



სურ. 2 პოლიცენტრული ქალაქის ურბანული მოდელი

XXI საუკუნეში, სავაჭრო ცენტრები გადაიქცა კომპლექსურ, მრავალფუნქციურ სივრცეებად. მათ სტრუქტურაში გაჩნდა ისეთი ფუნქციები, როგორიცაა: კინოთეატრები, გასართობი, სპორტული და სილამაზის ცენტრები, ზოოპარკები, გოლფის მოედნები, გიგანტური აკვარიუმები და ა.შ. მოლი გახდა არა მხოლოდ სავაჭრო, არამედ სოციალური აქტივობის წერტილი და ფაქტიურად ქალაქის ცენტრის ფუნქცია შეითავსა. [1]

თანამედროვე მოლები გამოირჩევიან მასშტაბური შიდა სივრცეებით და ორიგინალური ფასადებით, რომლებიც ხშირად გარკვეულ ასოციაციებს იწვევენ, რითაც უფრო ცნობადი და დასამახსოვრებელნი ხდებიან. როგორც მაგალითად: **ტომას ხიზევიკის** დიზაინით შექმნილი კონსტრუქცია - **„Vessel“**, რომელიც ნიუ-იორკის ცენტრში, მრავალფუნქციურ ცენტრ **„Hudson-Yards“** – ის წინ არის აღმართული და მნახველებში განსხვავებულ ასოციაციებს იწვევს. მას ადარებენ გემს, ბზიკების ბუდეს,

ეიფელის კოშკს და ა.შ. (სურ. 3) სინამდვილეში კი ის წარმოადგენს კიბეს, 80 ბაქნითა და ასვლის 154 ვარიანტით. ასევე შიძლება ვახსენოთ სავაჭრო ცენტრი **„ემფორია“** (შვედეთი, არქიტექტორი გერტ ვინგარდი), რომელიც ცნობილია თავისი ორიგინალური, ოქროსფერი მინის ფასადებით, რომლებიც იწვევენ დამდნარი ქარვის ასოციაციას (სურ. 4). მსგავსი სივრცეების პროექტირებისას ხშირად გამოიყენება ატრიუმული ტიპის გეგმარება, რაც შიდა სივრცეთა ვიზუალურ გახსნილობას და ადამიანთა ნაკადების თავისუფალ გადაადგილებას უზრუნველყოფს, ასევე ბუნებრივი განათების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებასაც იძლევა. [2] ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში, მოქალაქეების ცხოვრების წესის, საქმიანობის სფეროების და კულტურული მოთხოვნილებების სწრაფი ცვლა იწვევს მუდმივ ცვლილებებს არქიტექტურაში და შიდა სივრცეების სხვაგვარ ორგანიზებას მოითხოვს. თანამედროვე ტენდენციებში დიდი ადგილი უკავია შიდა სივრცის ფუნქციურ ზონირებას ანუ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების ერთიან სივრცით სისტემაში გაერთიანებას, ასევე პრიორიტეტია კომუნიკაციის პროცესის ხაზგასმა, შიდა სივრცის დინამიური, ვიზუალურად ეფექტური, ტექნოლოგიურად განვითარებული კომფორტული გარემოს შექმნა, სხვადასხვა დემოგრაფიული და სოციალური ფენების, ასევე კულტურის წარმომადგენლების მიმართ გახსნილობა, უსაფრთხოების განცდის შექმნა, ფასადისა და ინტერიერის დიზაინში ვიზუალური იდენტობის ელემენტების შეტანა და ა.შ. ამ და კიდევ მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული მოლის ცნობადობა, ფუნქციურობა და წარმატება.



სურ. 3 „Vessel“, „Hudson-Yards“, ნიუ-იორკი

სურ. 4 სავაჭრო ცენტრი „ემფორია“, შვედეთი

მსოფლიოში ამ კუთხით მიმდინარე პროცესები საქართველოზეც აისახა. ქვეყნის მასშტაბით მოლების მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქალაქი თბილისი, სადაც ბოლო წლებში ერთმანეთისგან განსხვავებული, რამდენიმე მსხვილი მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი აშენდა. მათ შორის შეიძლება გამოიყოს სამი, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი: **„თბილისი მოლი“, „გალერია თბილისი“ და „ისთ ფოინთი“**. ცენტრები განსხვავდებიან, როგორც

არქიტექტურით, ასევე სივრცითი ორგანიზებით და ქალაქის ურბანულ გარემოსთან ურთიერთობით.

ტიპოლოგიური ტერმინი - **„მოლი“** (რაც გულისხმობს: მთლიანად დახურულ შენობას, დერეფნულ გეგმარებას, ატრიუმს, კლიმატ კონტროლს და ა.შ.) ყველაზე მეტად, ჩამონათვალში თავისი მასშტაბურობით გამორჩეულ **„თბილისი მოლს“** („Tbilisi Mall“) შეეფერება. ის საქართველოში პირველი თანამედროვე სავაჭრო ცენტრია, რომელიც 2012 წელს გაიხსნა და უდიდესი გავლენა მოახდინა დედაქალაქის ურბანულ განვითარებაზე. საქართველოში მანამდე არ არსებული, ახალი ტიპის სავაჭრო-გასართობი სივრცის ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (დავით აღმაშენებლის გზატკეცილი) განთავსება სტრატეგიული გადაწყვეტილება იყო, რასაც მოჰყვა ქალაქის პერიფერიული ზონის განვითარება (სურ. 5).

სურ. 5 ქალაქის პერიფერიული ზონის განვითარება წლების მიხედვით

გზატკეცილის ინფრასტრუქტურის განახლება და ტრანსპორტის გამტარიანობის გაზრდა, მიმდებარე უბნების გზების მოდერნიზაცია, ტერიტორიაზე გაჩენილი ახალი საცხოვრებელი კომპლექსები და სხვადასხვა კომერციული ობიექტები ქალაქის ამ მხარის განვითარებას და გაფართოვებას ადასტურებს. [3] სავაჭრო ცენტრების კლასიფიკაციის ევროპული სტანდარტების მიხედვით (ფართობი, მომხმარებელთა ნაკადი, სპეციალიზაცია, ადგილმდებარეობა) „თბილისი მოლი“ მიეკუთვნება **გარეუბნის ცენტრების** კატეგორიას. შენობა შედგება სხვადასხვა სიმაღლის და მოცულობის რამდენიმე ბლოკისგან და თანამედროვე არქიტექტურის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს. მოლის ფასადში მკაფიოდ ვლინდება ნეომოდერნისტული სტილი და გლობალური, ეგრეთ წოდებული „ნეიტრალური მოლის“ ვიზუალისთვის დამახასიათებელი დეტალები (სურ. 6). ვინაიდან შენობას აქვს ტიპიური იერსახე და არ არის მორგებული თბილისის სივრცით სტრუქტურაზე, თავისუფლად იქნებოდა შესაძლებელი მისი განთავსება ნებისმიერი სხვა ქალაქის გარეუბანშიც. ნაგებობა ატრიუმული ტიპისაა. მოლის სიმეტრიული და მარტივად გასაგები სტრუქტურა ადვილი ორიენტაციის საშუალებას იძლევა. დიდ ატრიუმში (მოლში სამი ატრიუმია) შექმნილია ეგრეთ წოდებული **„ქალაქური მოედნის“** იმიტაცია (სურ. 7). ამ ეფექტს აძლიერებს ბუნებრივი განათებაც, რომელიც ვიზიტორთა ნაკადების გადაადგილების მიმართულებას არეგულირებს. ყველა მთავარი გადაადგილების ღერძი: ესკალატორები, ლიფტები,

გალერეები ატრიუმის ირგვლივაა განლაგებული. ვერტიკალურად გახსნილი სივრცეები კი მაქსიმალური ხილვადობის საშუალებას იძლევა.

სურ. 6 „თბილისი მოლი“

სურ. 7 „თბილისი მოლი“ - ატრიუმი

2023 წელს მოლის **რენოვაციის** ფარგლებში, მოხდა შიდა სივრცის განახლება. [4] ინტერიერში ნათელი ფერების შემოტანამ სივრცე ვიზუალურად გაზარდა და მეტად გამოკვეთა კვების, ბავშვთა კუთხის და კინოთეატრის ზონები, რომელიც მთლიანობაში არსებული სინათლისა და სისუფთავის ფონზე წარმოქმნის ერთგვარ ფერად ლაქებს და ქმნის სასიამოვნო, მიმზიდველ ინტიმურ სივრცეებს. [5]

მრავალფუნქციური ცენტრების სრულიად განსხვავებულ მოდელს წარმოადგენს სავაჭრო ცენტრი **„ისთ ფოინთი“** (East point), ის ერთ-ერთი მასშტაბური, თანამედროვე, მრავალფუნქციური, კომპლექსია საქართველოში, რომელიც მდებარეობს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში და ისევე, როგორც „თბილისი მოლი“, აძლიერებს თბილისის პოლიცენტრულ სტრუქტურას. „ისთ ფოინთი“ ქალაქის სხვა მოლებისგან თავისი სივრცითი ორგანიზებით გამოირჩევა. მისი არქიტექტურული კონცეფცია ღია ტიპის სავაჭრო სივრცის, ე.წ. სავაჭრო სოფელის (Shopping Village) ტიპოლოგიურ მოდელს ეფუძნება, რაც გულისხმობს ღია ცის ქვეშ ორგანიზებულ სავაჭრო ობიექტს (სურ. 9). „ისთ ფოინთი“ თავისი სტრუქტურით, ქუჩის ტიპის სივრცეებით და მოედნებით უსაფრთხო უბნის/ქალაქის იმიტაციას ქმნის. სავაჭრო, თუ სხვა ობიექტები განლაგებულია დამოუკიდებელ შენობებში ფუნქციური ზონების მკაფიო გამიჯვნით, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს შეგრძნებას თითქოს ვიზიტორი არა სავაჭრო ცენტრში, არამედ პატარა ქალაქის ქუჩებში გადაადგილდება. კომპლექსის გეგმარებაში გათვალისწინებულია ფართო ავტოსადგომები, რომლებიც უსაფრთხოების გაზრდის მიზნით არ იკვეთება საფეხმავლო სივრცეებთან. ამგვარი გადაწყვეტებით „ისთ ფოინთი“ განსხვავდება ტრადიციული სავაჭრო ცენტრებისგან, რაც საბოლოო ჯამში იზიდავს მომხმარებელს, რაც ახალი ბრენდების მხრიდან ამ კონკრეტული მოლით დაინტერესებით და მისი სავაჭრო სივრცის გაფართოვების საჭიროებით მტკიცდება. (ლომინაძე, 2024) [6]

სურ. 9 მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი „ისთ ფოინთი“

კლასიფიკაციის მიხედვით სხვა კატეგორიაში ხვდება **„გალერია თბილისი“.** „თბილისი მოლის“ და „ისთ ფოინთისგან“ განსხვავებით ეს მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი მდებარეობს დედაქალაქის გულში, რუსთაველის გამზირზე, ქალაქის ისტორიულ და ადმინისტრაციულ ცენტრში (სურ. 10). „გალერია თბილისი“ აშენდა 2017 წელს ყოფილი უნივერმაღის შენობის ადგილზე და თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ხალხმრავალ სავაჭრო ცენტრად იქცა, რაც მხოლოდ მისი ადგილმდებარეობის მხრივ მომგებიანი პოზიციის გამო არ მომხდარა. ადგილმდებარეობასთან ერთად ხალხს იზიდავს: ფუნქციური მრავალფეროვნება, პრესტიჟი, პრემიუმ ბრენდები, პრემიუმ კვების ობიექტები, აქ გამართული წარმოდგენები და ღონისძიებები. შენობაში მდებარეობს „თავისუფალი თეატრი“, „ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“, კინოთეატრი „კავეა“, ბოულინგის დარბაზი, საბავშვო გასართობი ცენტრი, სასტუმრო, სუპერმარკეტი, ავტოსადგომი, ასევე შენობაში ინტეგრირებულია მეტროსადგური „თავისუფლების მოედანი“, რაც ზრდის ხალხის მოძრაობის ინტენსიობას. **„გალერია თბილისი“** ფოკუსირებულია ტურისტებზე და ბიზნეს სეგმენტზე.

სურ. 10 „გალერია თბილისი“

ექვს სართულიან შენობაში გალერეის ტიპის წყობაა გამოყენებული, სავაჭრო სივრცეები კი განლაგებულია გალერეის გასწვრივ. შენობა ინტეგრირებულია ქალაქის ისტორიულ ცენტრში და აქტიურად ურთიერთობს ქუჩასთან. შენობის ფასადი ადაპტირებულია რუსთაველის გამზირის მასშტაბსა და რიტმთან, თუმცა შესამჩნევია ლოკალური არქიტექტურული იდენტობის ნაკლებობა. მოლის არქიტექტურა და

ინტერიერი გლობალურ, სტანდარტულ მოდელს იმეორებს და ნაკლებად გამოხატავს ადგილობრივ კულტურას და ისტორიას. შიდა სივრცე ნაწილობრივ იზოლირებულია გარე სამყაროსგან, რაც ზღუდავს ქალაქთან პირდაპირ ვიზუალურ კავშირს. ინტერიერის დიზაინი თანამედროვე, მინიმალისტურ სტილშია გადაწყვეტილი. აქცენტი გაკეთებულია ატრიუმზე, რომელიც მოლის ბირთვს წარმოადგენს. ბუნებრივი და თანამედროვე ხელოვნური განათება, ნათელი ფერები, გამოყენებული მასალები, ვიზიტორებისთვის სასიამოვნო, კომფორტულ გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

დასკვნა:

თბილისში მრავალფუნქციური ცენტრების განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ცხოვრებაზე. თუმცა არის პრობლემები მათი ურბანული ინტეგრაციის, არქიტექტურულ იდენტობისა და საზოგადოებრივი სივრცეების ნაკლებობასთან დაკავშირებით. თბილისის ზოგიერთი სავაჭრო ცენტრი მდებარეობს პერიფერიულ ზონაში და არ არის ორიენტირებული ფეხით მოსიარულეთა ნაკადებზე, შესაბამისად ასეთი მოლები ნაკლებადაა ჩართული ქალაქის ურბანულ ქსელში. ასევე აღსანიშნავია, რომ თბილისის მოლების არქიტექტურა ძირითადად საერთაშორისო სტანდარტული მოდელების პრინციპებს ეფუძნება, რაც სივრცის სტანდარტიზაციას იწვევს და არ წარმოაჩენს მათ უნიკალურობას. სტანდარტიზაცია შეინიშნება ასევე თბილისის მოლების შიდა სივრცეებშიც, სადაც იგრძნობა დინამიურობის და ინდივიდუალიზმის დეფიციტი და ნაკლებად გვხვდება ინტერიერის ორიგინალური გადაწყვეტები.

ქ. თბილისის მოლების („თბილისი მოლი“, „ისთ ფოინთი“, „გალერია თბილისი“) მაგალითები ცხადყოფს, რომ თბილისის მოლების არქიტექტურა ვითარდება განსხვავებული სცენარებით. თბილისში არსებულ მრავალფუნქციურ ცენტრებს განსხვავებული ურბანული, არქიტექტურული თუ სხვა მახასიათებლები გააჩნიათ. „გალერეა თბილისი“ ყველაზე მეტად არის ინტეგრირებული ქალაქთან, ის გახსნის დღიდანვე იქცა ქალაქის ცხოვრების ნაწილად, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია: ადგილმდებარეობა, უშუალო კავშირი ქუჩასთან, მოლი მოსახერხებელია შეხვედრებისთვის, დროის გასატარებლად და ა.შ. მისგან განსხვავებით „თბილისი მოლი“ წარმოადგენს ფუნქციურად გამართულ, თუმცა არქიტექტურულად შედარებით ნეიტრალურ მოდელს, რომლის მთავარი ღირებულება პრაქტიკულობისა და ეფექტურობაში მდგომარეობს. ის მთლიანად ორიენტირებულია კომერციულ აქტივობაზე, ხოლო „ისთ ფოინთი“ მართალია ქმნის ურბანული სივრცის იმიტაციას, თუმცა არანაირი კავშირი არ აქვს ქალაქის ისტორიულ ცენტრთან და ლოკალურ არქიტექტურულ იდენტობასთან. მიუხედავად ამ ორი დიდი მოლის ეკონომიკური მნიშვნელობისა, გარემოება, რომ ისინი მდებარეობენ ქალაქის პერიფერიაში და ნაკლები შეხება აქვთ ქალაქის ისტორიულ სოციალურ სივრცესთან განაპირობებს მათ გლობალიზაციას და ნეიტრალურობას.

ქალაქში სავაჭრო ცენტრების რაოდენობისა და მასშტაბის ზრდა ართულებს მომხმარებლის მიზიდვას. კონკურენტული გარემო მოითხოვს კომფორტის უფრო მაღალი დონის შეთავაზებას და ეგრეთ წოდებული **„მომხმარებლის გზის“** („customer journey“) ახლებურად დაგეგმვას. ამ მიზნით მოლებში სავაჭრო ცენტრებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული აქტივობების პარალელურად ტარდება სხვა და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებები, გამოფენები, კონცერტები, პრეზენტაციები და ა. შ.

ამგვარად, მოლების არქიტექტურულ-მხატვრული სახე პირდაპირ არის დაკავშირებული ურბანულ კონტექსტთან, ქალაქის განვითარების სტრატეგიასთან და საზოგადოებრივი სივრცეების საჭიროებებთან. საქართველოში ეს ტიპოლოგია ჯერ კიდევ ტრანსფორმაციის ეტაპზეა. მომავალში, მოლების განვითარება არა მხოლოდ ფუნქციურ ეფექტურობას, არამედ ესთეტიკურ, სოციალურ და ურბანულ პასუხისმგებლობასაც იგულისხმებს, რის საფუძველზეც ახალი არქიტექტურული ფორმა - „მოლი“, თანამედროვე ქალაქის იდენტობის სრულფასოვან ნაწილად იქცევა.

ლიტერატურა

1. ჯეიმისონი, ფ. (2016 წლის 25 09). მომავლის ქალაქი. "არილი"საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი. (ლ. დორეული, რედ.) თბილისი, თბილისი, საქართველო: „არილი”საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი. https://arilimag.ge/
2. Hachem, Hasan. (2015). Atrium. https://surface.syr.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1293&context=architecture_theses
3. Broadcaster, პ. ა. (2019 წლის 15 03). თბილისის გენ. გეგმის მიმართულებები. (მ. სალუქვაძე, ინტერვიუერი) https://www.youtube.com/watch?v=f22-nQ4otwk
4. https://lsg.solutions/project/tbilisi-mall-renovation/
5. თბილისი მოლის ახალი სიცოცხლე იწყება. (2023). მოპოვებული marketer.ge: https://www.marketer.ge/tbilisi-mall-renovacia/
6. ლომინაძე, Q. G.-ს. (2024 წლის 15 4). თბილისის რითეილ ბაზრით სულ უფრო მეტი საერთაშორისო ბრენდი ინტერესდება - Quadrum Georgia. (მ. მელიქიშვილი, ინტერვიუერი) https://bp.ge/news/biznesi/tbilisis-riteil-bazrit-sul-ufro-meti-saertashoriso-brendi-interesdeba-quadrum-georgia.

Architectural, Aesthetic and Urban Role of Malls in the Development of Tbilisi

Tinatin Chigogidze[1]; Natia Koiava2

[1]PhD in architecture, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, Georgian Technical University; [2]PhD candidate, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, Georgian Technical University

Abstract

In this article we discuss multifunctional centers (shopping malls) as part of the modern city, emphasizing their significant role both in urban development and in the daily lives of citizens. We have reviewed big shopping centers in Tbilisi: "Tbilisi Mall," "Galleria Tbilisi," and "East Point." We have categorized these Malls within relevant classification frameworks and have described and analyzed their architectural and artistic characteristics, spatial organization, and functional structure, etc. The article also addresses both the positive impacts and the challenges associated with the emergence of malls in Tbilisi, such as issues related to urban integration, architectural identity and lack of public spaces.

Keywords: local architectural identity; mall; multifunctional center; urban integration.